ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 427

27 ნოემბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების:
ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 1632 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.026) გაცვლის ფორმით
პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 4 ნოემბრის №44.23.1268 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 1632 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.18.006.026) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ნინო პაიჭაძისთვის (პ/ნ №01008014755) საკუთრებაში გადასაცემად, მის სახელზე რეგისტრირებული ქ.თბილისში, წყნეთის გზატ. ხევში მდებარე უძრავი, უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.16.007.050) სანაცვლოდ, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

ხელშეკრულება

უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- 2015 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო", მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------) და მეორეს მხრივ, მოქ. ნინო პაიჭაძე (პ/ნ: №01008014755; მის: ----------), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ნინო პაიჭაძეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას: **ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ 1632 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: #01.10.18.006.026)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით ნინო პაიჭაძე საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქ. თბილისში, წყნეთის გზატ.ხევში მდებარე უძრავ ქონებას, შემდეგი რეგისტრირებული მონაცემებით - 1808 კვმ. მიწის ნაკვეთი და #1 შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: №01.10.16.007.050).**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ნინო პაიჭაძეს საკუთრებაში გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე და არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

2.2. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებები ხელშეკრულების მხარეებს გადაეცემა საკუთრების უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.3. გადაცემულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების ორივე მხარის საკუთრების უფლებების რეგისტრაციის მიზნით, სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს) წარედგინება ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

3.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

3.2. ნინო პაიჭაძე აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მის საკუთრებად. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

3.3. მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

3.4. ნინო პაიჭაძე ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.5. ნინო პაიჭაძე ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 4. სხვა პირობები

4.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

4.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით, ცალკე ხელშეკრულების გაფორმებით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

4.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

4.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

4.5. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

_____